# სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების შერჩევის წესი

## მუხლი 1. მიზანი

წინამდებარე წესის მიზანია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „თსუ“) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი“) საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების შერჩევასთან დაკავშირებული რეგულაციების განსაზღვრა.

## მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები

1. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში აბიტურიენტი/სტუდენტი/ მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს გამოცდას შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში.
2. ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით გამოცდა უცხო ენაში თბილისის გარდა, შეიძლება ჩატარდეს ქალაქებში: ბაქო და ერევანი.
3. ენის/ენების გამოცდიდან თავისუფლდება აბიტურიენტი/სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან/და უცხოეთში/საქართველოში საბაზო/სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს/უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.

4. გამოცდა ენა/ენებში ტარდება წერილობითი სახით. საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100 ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ აბიტურიენტი/სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51 ქულა).
5. მაგისტრანტობის კანდიდატი/მაგისტრანტი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მიზნით გადის ფაკულტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე.
6. ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტები/მაგისტრანტობის კანდიდატები/სტუდენტები ავსებენ სააპლიკაციო ფორმას და წარადგენენ სამოტივაციო წერილს, რის შემდეგაც ხორციელდება ონლაინ გასაუბრება მიმღებ კომისიასთან. პირობითი გადაწყვეტილება პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ეცნობება აბიტურიენტს/სტუდენტს/მაგისტრანტობის კანდიდატს.
7. მაგისტრატურაში მიღების პირობები განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობების გათვალისწინებით.
6. ფაკულტეტის მიერ ინფორმაცია პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე - სახელის, გვარისა და საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით, სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე შესაბამისი გამოცდის/გამოცდების ჩაბარებისა და კონკურსის გავლის შემთხვევაში წარედგინება სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს.
7. ფაკულტეტის წარდგინება ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულ ორ ან მეტ პირზე გაიცემა ვაკანტური ადგილების გადაჭარბებით.

## მუხლი 3. გამოცდების ჩატარების ვადები და პროცედურა

1. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცდების ჩატარების ფორმატი და ვადები განისაზღვრება ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის სპეციალობის საგამოცდო და სააპელაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება დეკანის ბრძანებით.
3. ენის/ენების გამოცდის ტესტების მომზადებას და საგამოცდო ნაშრომების გასწორებას ახორციელებს თსუ-ის ენების შემსწავლელი ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია ტესტის სისწორესა და გამოცდის შეფასებათა სიზუსტეზე, გარდა ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომლის ჩატარების ყველა ორგანიზაციულ საკითხს უზრუნველყოფს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა.
4. იმ აბიტურიენტის/სტუდენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის, რომელიც წარმოადგენს ენის/ენების ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან/და უცხოეთში/საქართველოში საბაზო/სრული, ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს/უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, ენის/ენების გამოცდიდან გათავისუფლებაზე გადაწყვეტილებას იღებს თსუ-ის ენების შემსწავლელი ცენტრი, ხოლო ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის ქართული ენის გამოცდისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტი.

6. გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ-ის საგამოცდო ცენტრი.